ქუთაისში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა რეგბიში. ბოლო ტურის მატჩებში თბილისელებმა დაამარცხეს მოსკოველი თანაკლუბელები, კიეველმა სპორტსმენებმა კი მასპინძლებს.

ამრიგად, თბილისისა და კიევის დინამოელებს თანაბარი ქულები აღმოაჩნდათ, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო პირველობა კიევის კოლექტივს მიეკუთვნა.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისისა და ქუთაისის გუნდების შეხვედრის მომენტი.
ა. ჩარკვიანის ფოტო.

# მეტრეველი იქ, მეტრეველი აქ...

მოსკოვი, 17 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნ. ოზეროვს ყველა იცნობს. და ალბათ ყველამ იცის, რომ ამ ნაცნობობის წყარო მხოლოდ ტელევიზორის ცისფერი ეკრანი როდია: ნ. ოზეროვი ახლო წარსულში საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი გახლდათ, რომელიც ათეული წლების განმავლობაში წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა შეჯიბრებაში. და აი, მასთან საუბარში ოზეროვმა სავსებით დაბეჯითებით გვითხრა, რომ ალექსანდრე მეტრეველის მსგავსი ჩოგბურთელი საბჭოთა კავშირს არასდროს ჰყოლია. „ეს საერთაშორისო მასშტაბის, უაღრესად მახვილგონივრული და მაღალტექნიკური ჩოგბურთელია, რომელსაც ღირსეულად უჭირავს ჩვენი ჩოგბურთის ალამი საერთაშორისო სარბიელზე“,—თქვა სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა.

მეტრეველი მართლაც მშვენება იყო მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირისა, რომელსაც დღეს საღამოს ექნება ფინიში. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ლუჟნიკის ცენტრალური სტადიონის საჩოგბურთო კორტებზე გუშინ დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ეს ინტერესი გასაგებიც იყო: გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ მეტრეველი და პოლონეთის ჩემპიონი, 34 წლის ვ. გონშორეკი. გაიმარჯვა თბილისის დინამოელმა — 6:3, 6:2, 6:2. ამ ორმა ჩოგბურთელმა ფინალის გზაზე შედარებით იოლად ხძლიეს თავიანთ მეტოქეებს.

შემდეგ კორტზე გამოვიდა ... ისევ მეტრეველი, ამჯერად, თავის ტრადიციულ მეწყვილესთან — ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან ერთად. ეს დუეტი ფინალურ მატჩში მოსკოველებს ვ. ეგოროვსა და ვ. კოროტკოვს შეხვდა. ყველა დაძაბულ ბრძოლას მოელოდა, მაგრამ მეტრეველმა და ლიხაჩოვმა საოცრად მოკლე დროში თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი, თითქოს მათ წინააღმდეგ გამოცდილი ოსტატები კი არ თამაშობდნენ, არამედ ახალბედები. მატჩის ანგარიშია 6:3, 6:3, 6:3.

მერე კორტზე გამოვიდა... ისევ მეტრეველი, ამჯერად, თავის მეწყვილესთან — მოსკოველ ო. მოროზოვასთან ერთად. მათ პირისპირ დადგნენ რუმინელები ი. დიბარი და ს. დრონი. ეს იყო შერეული წყვილების ნახევარფინალური შეხვედრა. გულშემატკივრებმა მოხედვაც კი ვერ მოასწრეს, ისე სწრაფად დამთავრდა თამაში. ანგარიშით 6:2, 6:3 გაიმარჯვეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 161 (4155)

1970 წ. 18 აგვისტო, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


# 80:48!

ევროპის ჩემპიონის სახელი — ზედიზედ მეოთხედ!

ათენი, 16 აგვისტო. სსრ კავშირის ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებმა ზედიზედ მეოთხედ მოიხვეჭა ევროპის ჩემპიონის სახელი. პირველობის ფინალურ მატჩში მან აქ ანგარიშით 80:48 (34:16) დაამარცხა საბერძნეთის გუნდი.

# გურამ თავდიდიშვილის ოქრო და რეკორდი

ოდესა, 16 აგვისტო. ტყვიის მსროლელთა საკავშირო საუწყებო ჩემპიონატში წარმატებას მიაღწია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, თბილისის დინამოელმა გ. თავდიდიშვილმა: საბრძოლო ნებისმიერი შაშხანით „გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგ გასროლაში მან 234 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია, რომელიც მისსავე ძველ მიღწევას 2 ქულით აღემატება. თავდიდიშვილს 2-2 ქულით ჩამორჩნენ თანაგუნდელები ანოხინი და არსკი. ვერცხლი ანოხინს ერგო.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე საპრიზო ადგილი დინამოელებმა გაინაწილეს, ისინი 900 ქულით გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ III ადგილზე გავიდნენ. პირველობა შეიარაღებულ ძალთა გუნდმა მოიპოვა — 907 ქულა (ამ ვარჯიშში ყოველი კოლექტივის ნამოღვაწარი 4 სპორტსმენის შედეგებით ჯამდებოდა, დინამოელთა მეოთხე წევრმა კი მეტისმეტად სუსტად იასპარეზა).

მცირეკალიბრიანი შაშხანით დიდ სტანდარტზე (3×40×2) შეჯიბრებაში ყველას აჯობა მინსკელმა გ. პარხომოვიჩმა — 2293 ქულა. წოლელა სროლა მოიგო ნ. პესტანოვმა (ლენინგრადი) — 791, ჩოქელა — გ. კონიახინმა (მოსკოვი) — 774, დგომელა — გ. აგიშევმა (ნოვოსიბირსკი) — 739.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე შეჯიბრებაშიც მინსკელმა სპორტსმენმა გაიმარჯვა — გ. ვოლინსკიმ ორი დღის ჯამში 1185 ქულა მოაგროვა. ასეთივე პისტოლეტით შავ სამიზნეებზე ტურნირში უძლიერესი იყო ა. უდაჩინი (კიევი) — 569 ქულა 600-დან. უდაჩინის გამარჯვებით დამთავრდა პნევმატური პისტოლეტით სროლაც — 383. პესტანოვი ჩემპიონი გახდა მცირეკალიბრიანი შაშხანით მცირე სტანდარტზე (3×20) სროლაში — 577 ქულა.

ამას წინათ შაულიაიში გამართულ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მშვილდოსანთა შეჯიბრებაში საქართველოს რამდენიმე სპორტსმენიც მონაწილეობდა.

წარმატებით იასპარეზა ქუთაისელმა სტუდენტმა ქალმა გ. რიჟამაძემ (მწვრთნელი შ. ჯაშიაშვილი), რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი: 4 დისტანციის ჯამში 1021 ქულა მოაგროვა. ეს საქართველოს ახალი რეკორდიცაა, რომელიც მისი თანაქალაქელი ქ. ლოხაბერიძის რეკორდს 5 ქულით აღემატება. რიჟამაძემ ლოხაბერიძის რესპუბლიკური რეკორდი მოხსნა, აგრეთვე, 60 მეტრიდან სროლაში — 258 ქულა მოაგროვა. ეს ძველ მიღწევაზე 7 ქულით უკეთესია.

## მშვილდოსნობა

## ფეხბურთი

# გუშინ...

ტაშკენტში, საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში, ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „პახტაქორი“ და თბილისის „დინამო“. მასპინძლებმა დიდი აღმავლობით ითამაშეს — თავიდან ბოლომდე არ შეუწყვეტიათ გამარჯვებისთვის ბრძოლა. მათი ეს ძალისხმევა ბურთებშიც გამოიხატა: ტაშკენტელებმა გამარჯვების გოლი 89-ე წუთზე გაიტანეს.

უნიათოდ მოთამაშე თბილისელებმა მასპინძელთა კარში მხოლოდ ერთი ბურთი (გ. ნოდია) მოათავსეს და დამარცხდნენ — 1:2.

* * *

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1.

## კვლავ წარმატება

შახტი, 16 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური შეჯიბრება „სიჭაბუკის თასზე“.

საქართველოს ფეხბურთელებს მეორე შეხვედრა ჰქონდათ ყირგიზეთის ნაკრებთან. ეს მატჩი ჩვენმა გუნდმა მოიგო (8:0) და ლიდერობაც დაისაკუთრა. ბურთები გაიტანეს გაგუამ (2) და ჯოჯუამ.

# ახალი ამბები

● ჰელსინკი, 16 აგვისტო. ფინეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში რ. ვიაჰიალიამ 212 სმ სიმაღლე დაძლია. ბადროს ტყორცნაში გაიმარჯვა პ. კაჰმამ (59,78 მ), ხოლო ბირთვის კვრაში — ს. სიმოლამ (18,93 მ).

● მოსკოვი, 16 აგვისტო. დღეს აქ დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. პირველი მატჩები ასე დამთავრდა: აშშ — ჩეხოსლოვაკია 80:55, სსრ კავშირი — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები 104:83.

# ვიქტორ სანეევი პირველი იყო — 16,77 მ.

## გაგრის რაიონის აჯ-კარგი

## სურხარბანი დიდი ზეიმია

● კიევი, 16 აგვისტო. „დინამოს“ საკავშირო პირველობაში მოასპარეზე მოსკოველმა ტ. ტალიშევა-ვოლკოვამ სსრ კავშირში წლეულს საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში — 642 სმ. საუცხოოდ გამოვიდა ლიტველი კ. შაპკა, რომელმაც 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ი. სოლონცოვამ ყველას აჯობა ბირთვის კვრასა (18,10 მ) და ბადროს ტყორცნაში (59,08 მ). ახალგაზრდა ბელორუსიელმა მძლეოსანმა ე. გავრილენკომ იმარჯვა 400 მეტრზე თარჯრბენში—50,9. ვ. სანეევი უძლიერესი იყო სამხტომში (16,77 მ), ხოლო ლ. ბრაგინა — 1500-მეტრიან დისტანციაზე (4.17,8). 5000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა რ. შარაფეტდინოვმა — 13.43,8. აქ სტარტი აიღო ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. გამუდიმაც (ტუნისი), მაგრამ მესამე კილომეტრზე მან რბენა შეწყვიტა.

● ლენინგრადი, 16 აგვისტო. ჩინებულად დაიწყო ლენინგრადის მძლეოსანთა ჩემპიონატი. საკლასიფიკაციო შეჯიბრებებში სტუდენტმა, 25 წლის ვ. ვოიკინმა ბირთვი 19,46 მეტრზე ჰკრა, რაც მეორე შედეგია წლეულს სსრ კავშირში. არმიელმა ბ. სავჩუკმა 100 მ 10,3 წამში გაირბინა, ხოლო ბ. ბახმატოვამ („ტრუდი“) იმავე დისტანციაზე გაიმარჯვა შედეგით 11,6.

● მოსკოვი, 16 აგვისტო. პანსიონატ „კლიაზმის“ მახლობლად მდებარე წყალსაცავში გაიმართა შეჯიბრება სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამის ერთ-ერთ სახეობაში — წყალქვეშ ორიენტირებაში. მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წყალქვეშ კურსის შეუცვლელად ცურვაში, წყალქვეშ კურსის შეცვლით ცურვასა და წყალქვეშ გუნდურ ცურვაში. ვაჟთა შორის მრავალჭიდის ჯამში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. კომპუსი (ტალინი). II და III ადგილებზეც ესტონელები გავიდნენ: ა. ტულკი და ბ. პოპოვი. ქალებში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი ვ. ბავრინა. მომდევნო ადგილებზე არიან გ. კუზინა (მოსკოვი) და ვ. ჩეპელკინა (ლენინგრადი). გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ესტონეთის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა ყაზახეთის კოლექტივი, III — ლენინგრადის ნაკრები.

● სტოკჰოლმი, 16 აგვისტო. „ვარსკვლავის“ კლასში მოასპარეზე ლენინგრადელმა აფროსნებმა ვ. ვასილიევმა და ე. შუგაიმ VI ადგილი დაიკავეს მსოფლიო ჩემპიონატში.

## ახალი ამბები




## ...ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ!

**ლენინგრადი, 16 აგვისტო.** აქ გაიმართა ავტოსპორტში სსრ კავშირის ჩემპიონატი და სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული წრიული რბოლა, რომლის სტარტზე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები გამოვიდნენ.

„ვოლგებით" საინტერესო ბრძოლაში გამარჯვების მთავარი ფავორიტები იყვნენ ლატვიის, საქართველოს, მოსკოვის, ესტონეთისა და ლენინგრადის გუნდები. შუა ტურნირში რბოლის ლიდერი გახდა თბილისელი სპორტის ოსტატი მ. ლოგინოვი, მაგრამ ზედ ფინიშთან მას მანქანამ უღალატა. კიდევ კარგი, ფინიშამდე ასიოდე მეტრი იყო დარჩენილი და ლოგინოვმა მაინც მოახერხა ვერცხლის მედლის დასაკუთრება. ბრინჯაო წილად ხვდა მის თანაგუნდელ მარტიროსიანს.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მოსკოველებმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ საქართველოსა და ლატვიის კოლექტივები.

# ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲜᲘᲩᲑᲔᲑᲘ

**მოსკოვი, 16 აგვისტო.** იქ, სადაც ერთი კვირის წინათ აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა საკავშირო ჩემპიონატი გაიმართა, ახლა მედლებისთვის ვაჟები იბრძოდნენ. ერთადგილიანებით შეჯიბრებაში პირველობა მოიგო კაუნასელმა ვ. ბუტკუსმა. ორადგილიანი უმესაჭო გასაშლელებით ასპარეზობაში ჩემპიონები გახდნენ ლენინგრადელი სტუდენტები ჰ. ილინსკი და ვ. სოლოვიოვი, ორადგილიანი მესაჭიანი გასაშლელებით რბოლაში კი ლენინგრადის „დინამოს" დუეტი — ვ. ეშინოვი და ნ. ივანოვი.

უმესაჭო ოთხადგილიანებით ტურნირში მარცხი იწვნია ევროპის შარშანდელმა ჩემპიონებმა — ... ტეტმა. პირველობა მოსკოვის „ვოდნიკმა" მოიგო, ხოლო ვერცხლის მედლები ლენინგრადის პროფკავშირების ნაკრებმა დაისაკუთრა.

მესაჭიანი ოთხადგილიანებით შეჯიბრებაში ყველასთვის მოულოდნელად იმარჯვა ჩემსახურ მეზღვაურთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ტ. ცოვა, ა. სტრიკხოლმი, ა. დემიდოვი და შ. მარკელოვი. მეზღვაურთა გამარჯვებით დამთავრდა წყვილმოსასმელიანი ორადგილიანებით (ე. ქდანოვიჩი, ა. ტიმოშინინი) და რვიანებით შეჯიბრებებიც.

**ბერგენი, 16 აგვისტო.** ნორვეგიის ამ ქალაქში დამთავრდა ძალოსანთა შეჯიბრება „ბალტიის თასზე". საბჭოთა სპორტსმენები 8 წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ და ოთხში გაიმარჯვეს: ვ. ანიკინმა ყველას აჯობა ქვემსუბუქ წონაში — 370 კგ, მ. კირჟინოვმა — მსუბუქში — 412,5. ვ. კურენცოვმა — საშუალოში — 472,5, ი. ტალტსმა — მძიმეში — 550 (ტალტსის მსოფლიო რეკორდზე აჭიმვაში ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით. — **რედ.**).

ტალტსის წონაში გამოდიოდა ვ. იაკუბოვსკიც, რომელმაც 540 კგ დააგროვა და II ადგილი დაისაკუთრა. II ადგილზე აღმოჩნდა ქვესაშუალო წონაში ვ. სმირნოვიც — 430 კგ.

## ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲬᲝᲜᲐ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲫᲚᲘᲐ

ვ. პახომოვმა (ქვემძიმე) და ნ. ბატიშჩევმა (ზემძიმე) შეჯიბრება ვერ დაამთავრეს, ვინაიდან ნულები მიიღეს: პირველმა — აჭიმვაში, ხოლო მეორემ — ტკვრაში (მან ვერ დაძლია საწყისი წონა — 205 კგ). ამ მარცხის გამო სსრ კავშირის გუნდი II ადგილით დაკმაყოფილდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს პოლონელებმა.

# ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ

რა სჯობს საბავშვო ზღაპრების კითხვას: მოვა კეთილი ჯადოქარი, დაიქნევს თავის ჯადოსნურ ჯოხს და, რაც გინდა, ინატრე, აგისრულდება. „ოჰ, მე მომცა ერთი ასეთი ჯადოქარი!" — ოხვრას გული თან ამოაყოლა „კოლმეურნის" გაგრის რაისაბჭოს თავმჯდომარემ შ. ჭელიძემ. თქვა და გამალა თავისი

### „ᲨᲞᲐᲠᲒᲐᲚᲙᲐ"

იმ „შპარგალკა"-ბლოკნოტში კი უცნაური სტრიქონები იყო ჩაწერილი. რამდენიმეს თქვენც წაგიკითხავთ.

იყო და არა იყო რა, იყო კოლმეურნეობა „ლიძავაში" ჭიდაობის სექცია. ბევრმა ჭაბუკმა ისწავლა აქ ჭიდაობა და კარგადაც გაიწაფა. ზოგი ჩემპიონიც კი გახდა. ო. იაშვილმა, ა. ბარციცმა, ჯ. გუგემაშვილმა მარტო თავიანთ რაიონში კი არა, მთელს აფხაზეთში გაითქვეს სახელი. მერე ადგილობრივი ხელმძღვანელობიდან ვიღაცას ორიგინალური აზრი გაუჩნდა: მოდით, შევამციროთ ეს სექციაო. რატომ შევამციროთო, არავის უკითხავს. მერე მუშაობა ჩაიშალა ფეხბურთის, ჭადრაკის, ტყვიის სროლის სექციებში. ერთ მშვენიერ დღეს ფეხბურთის მინდორიც გადახნეს.

ცუდი ამბები ხდება მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში. გახსოვს, 1963 წელს ამ მეურნეობის წარმომადგენლებმა ყველას აჯობეს საქართველოს სასოფლო კოლექტივებს შორის მოწყობილ სპორტულ კონკურსში. მაგრამ, როგორც იტყვიან, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამაც შეიცვალა. დღეს მეურნეობას არა აქვს სტანდარტული სპორტული ბაზები, ფიზკულტურელებს არა აქვთ ფორმა და ინვენტარი, არა ჰყავთ მეთოდისტი.

სამაგიეროდ, მეფრინველეობის ფაბრიკაში ჰყავთ მეთოდისტი — ს. იზმაილოვი. ცუდი მუშაკი არ გახლავთ. მისი დამსახურებაც არის, შარშან „კოლმეურნის" გაგრის რაისაბჭოს რაიონულ სპარტაკიადაში II ადგილი რომ დაიკავა. გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ ასეთ მუშაკს რატომღაც ხელფასს აღარ აძლევენ.

ალახაძის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურულ მუშაობას ათი წელია ხელმძღვანელობს ლ. ატამიანი — პრინციპული, ენერგიული, სპორტის მოყვარული კაცი. საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ ვერა და ვერ მოახერხა იგი შტატში აეყვანა მეთოდისტად. მასზე უკეთ ვინ გაუძღვებოდა ამ საქმეს?

სოფელ განთიადის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში უეცრად სპორტული ბაზის აგება გადაწყვიტეს. მაშინვე მოინდომეს ტიპიური პროექტი. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის მუშაკებმა მყისვე მხარი დაუჭირეს ამ მონდომებას. დიდი შრომა დასჭირდათ, რომ პროექტი დროით გაკეთებულიყო. მიაღწიეს კიდეც საწადელს განთიადელებმა, მაგრამ არ დაიჯერებთ: ის პროექტი დღესაც დიდის მოკრძალებით, ხელუხლებელი ასვენია სეიფში. სპორტული ბაზა მიივიწყეს. მაშინ მე-2 საშუალო სკოლის დირექციამ ითხოვა: ჩვენ გამოგვიყავით ნაკვეთი სპორტული ბაზის მშენებლობისთვის, ახალი სარბიელი მოსწავლეებსაც გამოადგებათ და კოლმეურნეებსაცო. მაგრამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ცივი უარი თქვა. არც საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი გვინდაო. არადა, ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალი ჯერ კიდევ 1968 წელს 524 ათას მანეთს შეადგენდა.

ფაქტიურად, არ მუშაობს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო. შეჯიბრებები დიდი ხანია დავიწყებას მიეცა. არა აქვთ არავითარი სპორტბაზა, იურიდიული საწევრო შესატანი 1964 წლიდან არ გადაუხდიათ.

### ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

სოფელ ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა შ. შარაბიძემ დაბეჯითებით გვითხრა, რომ შარშან მათს კოლექტივში ძალიან საინტერესოდ ჩატარდა მასობრივი შეჯიბრებები 100 მეტრზე რბენაში და სიგრძეზე ხტომაში. მაგრამ ამ შეჯიბრებების ოქმები მდივანმა რატომღაც არ გვიჩვენა...

მოდით, ადგილობრივ „სტადიონს" ვესტუმროთ. ეს გახლავთ შამბნარით დაფარული ერთი პატარა მოედანი, სადაც სპორტსმენები საერთოდ არ დადიან. სამაგიეროდ, სარბიელი... ძროხებს რჩებათ (იხ. ფოტო). იქვე ფრენბურთის მოედანზე რატომღაც ორი კარი აღუმართავთ ფეხბურთელთა შეჯიბრებებისთვის, თუმცა ბურთი ამ მინდორს დიდი ხანია არ უნახავს.

არ დაგავიწყდეთ, რომ ამ სოფლის მკვიდრი, 17 წლის ვ. შელია შარშან სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრების კანდიდატი იყო.

ისიც საინტერესოა, რომ ალახაძის ფეხბურთელები ხან მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის სახელით გამოდიან, ხან ჰიდროხელსაწყოების ინსტიტუტის ღირსებას იცავენ, თავიანთი მშობლიური სოფლის სახელით კი არ თამაშობენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ხასიამ ამაყად გვითხრა, რომ ეს კოლმეურნეობა ერთ-ერთი საუკეთესოა რაიონში, რომ მისმა შემოსავალმა შარშან 830 ათასი მანეთი შეადგინა. ბრიგადები წლეულსაც ნაყოფიერად შრომობენ, თამბაქოს მოყვანის გეგმაც, რასაკვირველია, შესრულდება. სპორტის განვითარებაზე თავმჯდომარეს არაფერი უთქვამს. ჩვენ კი შევიტყვეთ, რომ კოლმეურნეობას არ ჰყავს საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი, არა აქვთ სპორტინვენტარი. ახალგაზრდობა თავისუფალ დროს კროსვორდის ამოხსნით ერთობა: „გვექნება თუ არა 1980 წელს სტადიონი?"

სხვათა შორის, ამ სოფელში 3 სკოლა და დაახლოებით 300 კომკავშირელია, აი, ამ ახალგაზრდებმა უნდა შეცვალონ ძველი თაობა, ისევე წარმატებით უნდა იშრომონ კოლმეურნეობის მინდვრებზე და პლანტაციებში, როგორც დღეს მათი მამები საქმიანობენ. მაგრამ როცა არც სტადიონი აქვს, არც უმარტივესი სპორტული ბაზები, ესე იგი, როცა არა აქვს სათანადო, დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისი პირობები, ახალგაზრდობა სოფელში დარჩება? აი, ამას უნდა დაუფიქრდეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ხასია — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

### ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

როცა სოფელ სალმეს კოლმეურნეობა „მეგობრობას" ეწვევი, პირველ ყოვლისა თვალში მოგხვდება ლოზუნგი: „შენი სიმდიდრე შრომაა". მართლაც ასეა...

ამ კოლმეურნეობაში საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტად შარშან დაიწყო მუშაობა გ. კობახიძემ. მან პირველ ყოვლისა ველოსპორტის სექცია ჩამოაყალიბა (თავად სპორტის ოსტატობის კანდიდატია). კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ სარბოლო ველოსიპედები შეიძინა. დაიწყო გულმოდგინე წვრთნა. მალე ამ სოფლის გოგონებმა ნ. დუხანოვამ, ლ. კამამ, ლ. კანზონმა და 14 წლის ნ. პატერმა I ადგილი დაიკავეს საქართველოს სოფლის სპორტსმენთა შორის. ასე იქცნენ ახალბედები ჩემპიონებად.

ფრენბურთელთა გუნდი II ადგილზეა რაიონში — „კოლმეურნის" 11 კოლექტივს შორის.

ბრიგადირ ე. სატსს კარგ მუშის მტყორცნელად თვლიან, თუმცა უკვე ორმოცს გადააბიჯა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კოლმეურნეობის 750 წევრიდან ნახევარი ფიზკულტურისა და სპორტის მეგობარია.

თუ კულტმასობრივ ღონისძიებებზე შარშან 5000 მანეთი დაიხარჯა, წლეულს ეს ციფრი ორჯერ გაიზრდება. წლეულსვე მზად იქნება კულტურის სახახლე, სადაც ივარჯიშებენ მოკრივეებიც, ძალოსნებიც, მოჭიდავეებიც. ფეხბურთელებს თავიანთი გეგმები აქვთ — აპირებენ 100×70 მ ფართობის მინდორი მოაწყონ. შარშან კომპლექსური სპორტული მოედანი მოაწყვეს.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს დ. ჟრქვანიას, პარტიული ორგანიზაციის მდივანს გ. ქობალავას.

* * *

აი, როგორა აქვთ საქმე გაგრის რაიონის სოფლის სპორტსმენებს. შარშანდელი წლის მანძილზე 12 კოლმეურნეობიდან იურიდიული საწევრო შესატანი მხოლოდ სამმა გადაიხადა. ბევრ კოლმეურნეობაში არა ჰყავთ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი. რაისაბჭოს შტატში მწვრთნელები არ არიან გათვალისწინებული, არც ინვენტარი აქვთ, არც სპორტული ფორმა. რაისაბჭოს აპარატი 4-5 თვის მანძილზე არ იღებს ხელფასს. 1970 წელს რაიონის სპორტსმენებს აფხაზეთის პირველობებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1969 წლის 12 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". კერძოდ, დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აუცილებლად სჭირდებათ ფიზკულტურის სპეციალისტები და სპორტული ბაზები.

ჯერჯერობით ამ მნიშვნელოვან დადგენილებას გაგრის რაიონში აშკარად არ სცემენ პატივს. ამიტომაა საჭირო ჯადოქარი. იქნებ ეს კეთილშობილური როლი პარტიის გაგრის რაიკომმა შეასრულოს?

**ვ. ზუკინი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).



გაგრა.

# „ᲛᲔᲠᲐᲜᲛᲐᲪ" ᲒᲐᲡᲬᲘᲐ

ამ ორიოდე წლის წინათ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციამ და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ გამოაცხადეს დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კონკურსი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში. კონკურსს შეარქვეს პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსის სახელწოდება — „მერანი".

კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია: შემოვიდა 76 კომპოზიტორის 120 ეტიუდი.

„მერანის" ჟიურიმ საერთაშორისო არბიტრის ა. გერბსტმანისა (ლენინგრადი) და ვ. ნეიძის (თბილისი) შემადგენლობით ჯილდოები ასე განაწილა:

**პრიზები:** I-II. ა. კაზანცევი (მოსკოვი), გ. ნადარეიშვილი (თბილისი), III. ი. კრახელი (გორი), IV. ლ. მიტროფანოვი (ლენინგრადი), V. პოლოსიანცი (მოსკოვი).

**საპატიო შეფასებები:** I. ვ. კოვალენკო (ვლადივოსტოკი), II. ვ. ბრონი (სვერდლოვსკი), III. ვ. ევრეინოვი (სარატოვი), IV. ფ. ბონდარენკო (დნეპროპეტროვსკი), ა. კუზნეცოვი (მოსკოვი), V. ს. ბივოვაროვი (ხმელნიცკი).

**საქებო შეფასებები:** I. დ. გოდესი (ბარნაული), II. ვ. ვლასენკო (ხარკოვის ოლქი), III. რ. თავარიანი (თბილისი), IV. ლ. მიტროფანოვი, V. ა. კოროვიანკოვი (ბელგოროდის ოლქი).

დაწესებული იყო რამდენიმე სპეციალური ჯილდოც იმ ნამუშევრებისთვის, რომლებშიც შემოქმედებითადაა განვითარებული უკვე ცნობილი იდეები.

**პრიზები:** I. ე. პოლოსიანცი, II. ტ. გორგიევი (დნეპროპეტროვსკი).

**საპატიო შეფასებები:** I. ლ. ტოპკო (კრივოი როგი), II. ვ. კოვალენკო.

გთავაზობთ გ. ნადარეიშვილის გამარჯვებულ ეტიუდს, რომელშიც თეთრები გაათეთრებით და წარმატებით ებრძვიან შავების გამსვლელ პაიკებს.



თეთრები ყაიმს აღწევენ.

აი, ამოხსნაც: 1. მფd2 მფf3 (თუ 1. ... h2 2. ე:c4+ მფf3 3. ეc1) 2. კ:c4 e1ლ+ (თუ 2. ...ეe5, მაშინ 3. მe4) 3. მფ:e1 h2 (შავები ვერაფერს აღწევდნენ 3. ...ეe5+-ის შემდეგ — 4. მფd2 h2 5. მf7 h1ლ 6. მ:e5+ მფe4 7. ეe6) 4. კe2+ მფg2 5. კf1+ მფg1 6. კg2! (ბრწყინვალე ეტიუდური სვლა) 6. ... ე:g2 7. მf5! (მხოლოდ ასე. მიზანს ვერ აღწევდა 7. მf7 h1ლ 8. ეh6 ეe2+ 9. მფ:e2 ლe4+ და შავებს უპირატესობა აქვთ) 7. ... h1ლ 8. ეh6 ეh2 9. ეg6+ ეg2 10. ეh6. ყაიმი.

* * *

ვისაც სურს დაწვრილებით გაეცნოს „მერანის" შედეგებს, იხილეთ „ზარია ვოსტოკას" ა. წ. 31 ივლისის, 2 და 5 აგვისტოს ნომრებში.

კონკურსის შედეგები ძალაში შევა მხოლოდ ორი თვის შემდეგ.

## [illegible]

### ᲒᲕᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲠᲐᲛᲔ?

საქართველოში ალბათ იშვიათად ნახავთ სოფელს, სადაც ახალგაზრდობას ერთი უბრალო სპორტული მოედანი მაინც არ ჰქონდეს. მაგრამ გალის რაიონის სოფელ გუდავის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ამ მხრივ სულ სხვაგვარად გვაქვს საქმე.

ოდესღაც ჩვენს სოფელშიც მოინდომეს და თითქოს გააკეთეს კიდეც ფეხბურთის სათამაშო მინდორი, მაგრამ, თქვენს მტერს, რაც იმ მინდორზე ამბავი ტრიალებდა: დიდი ოსტატობა იყო საჭირო, ფეხი რომ არ მოგტეხოდა. კიდევ რაღაც გვეშველებოდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. აქუბარდია ხელს რომ არ გვიშლიდეს. მას სპორტი ზედმეტ ფუფუნებად, დროის უქმად გაცდენად მიაჩნია.

ჩვენს სოფელში კი ბევრი ნიჭიერი ფიზკულტურელია და არ გვინდა, მათი უნარი უქმად დაიკარგოს.

გთხოვთ, მოგვაქციოთ ყურადღება.

**სოფელ გუდავის ახალგაზრდობა.**

### მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

როგორც ცნობილია, მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის თასებისა და ცალკეულ იარაღებზე საკავშირო პირველობის გათამაშება ტანვარჯიშში.

მოგვყავს ცალკეულ იარაღებზე მოასპარეზეთა ტექნიკური შედეგები.

**ქალები**

**თავისუფალი ვარჯიში:** 1-2. თ. კარასიოვა (მოსკოვი), ლ. ტურიშჩევა (გროზნო) — 19,5-19,5 ქულა, 3. ზ. ვორონინა (მოსკოვის ოლქი) — 19,275. 4. თ. ლაზაკოვიჩი (ვიტებსკი) — 19,0, 5. ლ. პეტრიკი (მოსკოვი) — 18,9, 6. ე. ხაადი (ტაშკენტი) — 18,125.

**ორძელი:** 1. ტურიშჩევა — 19,55, 2. თ. კორბუტი (გროდნო) — 19,3, 3. ვორონინა — 19,175, 4. პეტრიკი — 18,85, 5. ტ. შჩეგოლკოვა (რიგა) — 18,425, 6. ლ. ბურდა (ვორონეჟი) — 9,6.

**ბჯენითი ხტომები:** 1. კორბუტი — 19,125, 2. ვორონინა — 19,075, 3. ბურდა — 19,025, 4. ლაზაკოვიჩი — 18,95, 5. ტურიშჩევა — 18,925, 6. კარასიოვა — 18,875.

**ძელი:** 1. ლაზაკოვიჩი — 19,0, 2. პეტრიკი — 18,975, 3. ვორონინა — 18,85, 4. კარასიოვა — 18,8, 5. ბურდა — 18,6, 6. ხაადი — 18,5.

**ვაჟები**

**ტაივი:** 1. მ. ვორონინი (მოსკოვი) — 19,075, 2. ს. დიომიდოვი (მოსკოვი) — 18,925, 3. ვ. ფოგელი (მოსკოვის ოლქი) — 18,9, 4. ე. მიქაელიანი (ერევანი) — 18,875, 5. ა. ზოტოვი (ვოლგოგრადი) — 18,55, 6. ვ. კარასიოვი (მოსკოვი) — 18,0.

**რგოლები:** 1. ვორონინი — 19,65, 2. ვ. ლისიცკი (მოსკოვის ოლქი) — 19,35, 3. დიომიდოვი — 19,25, 4. მ. ბოგუსი (თბილისი) — 19,025, 5. კარასიოვი — 18,95, 6. ა. მალეევი (მინსკი) — 18,8.

**თავისუფალი ვარჯიში:** 1. ლისიცკი — 19,0, 2-3. ვორონინი, გ. ბოგდანოვი (მოსკოვი) — 18,9-18,9, 4-5. დიომიდოვი, ფოგელი — 18,7-18,7, 6. ე. ანანსკიხი (მოსკოვი) — 18,15.

**ძელი:** 1. დიომიდოვი — 19,275, 2. ვორონინი — 19,2, 3. ლისიცკი — 19,075, 4. ვ. რაზუმოვსკი (მოსკოვი) — 18,775, 5. ბოგუსი—18,675, 6. ა. ტრიფონოვი (ვორონეჟი) — 17,8.

**ორძელი:** 1. დიომიდოვი — 19,875, 2. ვორონინი — 19,25, 3. ლისიცკი — 19,075, 4. ანანსკიხი — 18,825, 5. ფოგელი — 18,725, 6. ბოგუსი — 18,65.

**ბჯენითი ხტომები:** 1. ფოგელი — 18,875, 2. დიომიდოვი — 18,6, 3. ანანსკიხი — 18,5, 4. ვორონინი — 18,475, 5. ვ. ბოიკო (მოსკოვის ოლქი) — 18,4, 6. მიქაელიანი — 18,325.

* * *

საინტერესოა, რომ 22 წლის მოსკოველმა გ. ბოგდანოვმა თავისუფალ ვარჯიშში დაიმსახურა სპეციალური პრიზი — „სიმამაცისთვის თამამი ელემენტების შესრულების დროს". სხვათა შორის, კორბუტმაც მიიღო განსაკუთრებული ჯილდო — „ელემენტების ორიგინალურობისა და სირთულისთვის".

* * *

**სურათებზე:** სსრ კავშირის თასის მფლობელები ლ. ბურდა და მ. ვორონინი შეჯიბრების დროს.

ი. შალამოვის ფოტო.
(„კომსომოლსკაია პრავდა").



სსრ კავშირის თასის მფლობელები



# ჩნდება ახალი ვარსკვლავები

**მსოფლიოს** მძლეოსნური სეზონი ზენიტს უახლოვდება. მის მთავარ მოვლენად ევროპის თასის ფინალური შეჯიბრებები მოგვევლინება, მაგრამ უკვე ახლა დედამიწის სხვადასხვა ქვეყანაში მომავალი წარმატებების სერიოზული განაცხადი გააკეთეს ახალგაზრდა, აქამდე ნაკლებად ცნობილმა ან სრულიად უცნობმა სპორტსმენებმა. სწორედ ასეთ გამბედავ „ახალბედებზე" მოგვითხრობენ საკდესის კორესპონდენტები.

**ტერეზა სუკნევიჩის** სახელი საინფორმაციო სააგენტოების განცხადებებსა და სპორტული გაზეთების ფურცლებზე ი. კუსოჩინსკის მემორიალის დღეებში გამოჩნდა. სწორედ მაშინ ამ ტანწერწეტა, ცისფერთვალა სპორტსმენმა 100 მ თარჯებით 12,8 წამში გაირბინა. სპეციალისტები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ: გარბენში, სადაც არც ერთი ვარსკვლავი არ იყო, მსოფლიო რეკორდი იშვა.

აქ კი უნდა ითქვას, რომ ვარშავის დაგეგმვისა და სტატისტიკის მთავარი სკოლის IV კურსის სტუდენტი, 22 წლის სუკნევიჩი სულაც არ არის „შემთხვევითი" რეკორდსმენი. პოლონეთის მძლეოსანთა ნაკრებში იგი პირველად 1966 წელს გამოჩნდა მინსკში, სადაც წითელ-თეთრმაისურიანი სპორტსმენები სსრ კავშირის ნაკრებს შეხვდნენ მატჩში. თუმცა მაშინ ნორჩი ტერეზას ყველაზე დიდი წარმატება იყო... მისი არჩევა მატჩის ულამაზეს სპორტსმენ ქალად. მაგრამ უკვე იმავე შემოდგომით მან ვერცხლის მედალი მოიპოვა იუნიორთა ევროპულ თამაშებში.

სპორტსმენი აღიარებს, რომ მისი მწვრთნელი ტ. შჩეპანსკი რომ არა, იგი ალბათ თავს მიანებებდა მძლეოსნობას იმ არაქათგამცლელი წვრთნის გამო, რომელიც დაძაბულ, დაუღალავ შრომას მოითხოვს და შეჯიბრებებში ხშირად იმედსაც უცრუებს სპორტსმენს.

„იგი გასაოცარი ადამიანია, — ამბობს სუკნევიჩი თავის მწვრთნელზე. — მას ისე, როგორც არავის, შეუძლია ადამიანის გამხნევება და დაიმედება. ჩემი წარმატება ოთხმოცი პროცენტით მისი დამსახურებაა".

რეკორდმა დააგვირგვინა მწვრთნელისა და მისი აღსაზრდელის თითქმის ათწლიანი ერთობლივი შრომის შედეგი.

ტერეზა დარწმუნებულია, რომ ასმეტრიან თარჯრბენში უკეთესი შედეგის მოპოვება შეიძლება: „თუ ამას მე ვერ შევძლებ, ამას ჩემი უმცროსი და მალგოჟატა გააკეთებს. იგი 14 წლისაა და ჯერ არ მინახავს ასეთი ნიჭიერი მორბენალი". თუმცა ტერეზაც თავად ცდილობს რეკორდის განახლებას.

სწავლისა და სპორტისგან თავისუფალ დროს ტ. სუკნევიჩი უთმობს კინოსა და რომანების კითხვას. მას, როგორც ყველა პოლონელ ქალიშვილს, გატაცებით უყვარს ცეკვა, მაგრამ ცეკვისთვის ისე ცოტა დრო რჩება...

* * *

დაბადების დღემდე ცოტა ხნით ადრე — მას 21 წელი უსრულდებოდა — **იშტვან მაიორმა** საკუთარ თავს თავისებური საჩუქარი უბოძა: ახალგაზრდა უნგრელმა სპორტსმენმა 220 სმ სიმაღლე დაძლია. მიმდინარე სეზონში ეს დედამიწაზე მხოლოდ ოთხმა სპორტსმენმა შეძლო.

იშტვანი პროფესიით ელექტრომექანიკოსია, ამჟამად ჯარში მსახურობს და ახლო წარსულში ცნობილ სპორტსმენთან შ. ნოსაისთან ვარჯიშობს. მაიორის სიმაღლეა 186 სმ. იგი ხტება ზურგით თამასისკენ, ისევე როგორც ამერიკელი დ. ფოსბიური — მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი. ეს რთული სტილი ყოველი ელემენტის უზადო დამუშავებას მოითხოვს, მაგრამ იშტვანი მეტად შრომისმოყვარეა. იგი იმედოვნებს, რომ წლეულს განახლდება ვ. ბრუმელის მსოფლიო რეკორდი (228 სმ). „ეჰ, ნეტავ მე შევძლებდე ამის გაკეთებას", — ამბობს იშტვანი.

იშტვანს თავდავიწყებით უყვარს წიგნები, სწავლობს ინგლისურ ენას. სპორტის შემდეგ მისი მეორე გატაცება ხატვაა.

* * *

**მარკ მიუროს** გოლიათს ვერ უწოდებ: სიმაღლე 183 სმ, წონა 95 კგ — საკმაოდ მოკრძალებული „გაბარიტებია" თანამედროვე მტყორცნელისთვის. არც სპორტში ჰქონდა დიდი წარმატებები: მეხიკოს ოლიმპიადაში IX ადგილი დაიკავა. მაგრამ აი, წლევანდელი წლის დამდეგს მიურომ თავისი შუბი 91,44 მეტრზე გაგზავნა. ამ შედეგით მარკი პირდაპირ მოხვდა ყველა დროის საუკეთესო მტყორცნელთა რიცხვში.

90-მეტრიანი ზღვარის გადალახვა აქამდე მხოლოდ ექვსმა სპორტსმენმა შეძლო: 1956 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ნორვეგიელმა ე. დანიელსენმა, ფინელებმა — ახლანდელმა მსოფლიო რეკორდსმენმა ი. კინუნენმა და ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა პ. ნევალამ, მეხიკოს ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონმა, საბჭოთა ათლეტმა ი. ლუსისმა, მ. შტოლემ (გდრ) და თვით მიურომ.

მარკი 20 წლისაა. იგი დაიბადა ქალაქ ნიუარკში (ნიუ-ჯერსის შტატი). ჯერ კიდევ ესექსის კათოლიკურ სკოლაში მეცადინეობისას მოსწავლეთა შორის ამერიკის ჩემპიონი გახდა. ახლა იგი არიზონის შტატის უნივერსიტეტში სწავლობს და სურს მძლეოსნობის მწვრთნელი გახდეს.

თავისუფალ დროს მარკი თავდავიწყებით ნადირობს, მზადაა მთელი დღეღამე იაროს მინდორსა და ტყეში. მარკი, რასაკვირველია, შუბით კი არ ნადირობს, არამედ ჩვეულებრივი თოლულიანი თოფით.

* * *

„... მე უეჭველად ვიქნები რეკორდსმენი", — დაჟინებით გაიძახის მაგრიმანი ახალგაზრდა და ამ სიტყვებს დამახასიათებელი ბავარიული აქცენტით გამოთქვამს. მიუნჰენელ ფოსტის მოხელე იოზეფ (ბავარიულად კი ზეპ) შვარცს სარბენ ბილიკებზე გამარჯვებები ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. 17 წლისამ მან სარბენი ფეხსაცმელი ჩაიცვა და 200-მეტრიან დისტანციაზე გფრ-ის რეკორდს „დაუმიზნა". მაგრამ რეკორდი სხვა სპორტსმენმა მოხსნა, იოზეფი კი საავადმყოფოს საწოლში აღმოჩნდა — მარჯვენა ფეხი იტკინა. მძლეოსნობის მოყვარულებმა უკვე დაივიწყეს იგი, როცა უეცრად ხმა გავარდა: ზეპ შვარცი გფრ-ის რეკორდსმენი გახდა — 816 სანტიმეტრზე გადახტაო.

... ზეპი სტადიონს 1960 წელს დაუბრუნდა, როცა 19 წლისა იყო, და გადაწყვიტა სიგრძეზე ხტომაში მოესინჯა ძალა. ერთ წელიწადში პირადი რეკორდი 673-დან 729 სანტიმეტრამდე გაზარდა. მაგრამ ზამთარში დარბაზში ხტომისას ისევ იტკინა ფეხი.

... იგი შესაშური დაჟინებით კვლავ შეუდგა ვარჯიშს. ზეპი სულ უფრო სწრაფად დარბოდა, 100 მეტრზე მისი რეკორდი უკვე 10,3 წამი იყო, მაგრამ შვარცის ნამდვილ „სიყვარულად" სიგრძეზე ხტომა იქცა. კიევში, ევროპის თასის გათამაშების ფინალში, იგი 785 სანტიმეტრზე გადახტა. ახალმა ტრავმამ ხელი შეუშალა მეხიკოში მის გამგზავრებას.

ამ ზამთარს შვარცი განსაკუთრებით ბევრს ვარჯიშობდა. და აი, შედეგიც: თავის სიცოცხლეში პირველად იგი გფრ-ისა და აშშ-ს მატჩში 835 სანტიმეტრზე „გაფრინდა"—მოსკოველი ი. ტერ-ოვანესიანის ევროპული რეკორდი გაიმეორა. ახლა იგი მეოთხე მხტომელია მძლეოსნობის ისტორიაში.

## სპარტაკიადის პროგრამით

ონის რაიონის სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა შეჯიბრებები ტყვიის სროლასა და თავისუფალ ჭიდაობაში.

ტყვიის სროლაში 10 ფიზკულტურის კოლექტივი ასპარეზობდა. საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა ონის ავტოსატრანსპორტო კონტორის ნაკრებმა.

თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ო. და შ. ჩიხრაძეები, ზ. მაისურაძე, ნ. გოგრიჭიანი, ა. გაგნიძე, ნ. მეტრეველი, მ. ლობჟანიძე, ბ. გუგეშაშვილი, მ. და ვ. ჩიხრაძეები. გუნდური პირველობა მოიგო სოფელ გომის კოლმეურნეობის ნაკრებმა.

დ. ხახიაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ონი.

## რინგზე არიან ჭაბუკები

ქუთაისის კულტურის სახლში გაიმართა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკ მოკრივეთა შორის.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ქუთაისელებმა (მწვრთნელები ჯ. კვანტალიანი და ა. ხუციშვილი). II ადგილზე თბილისის კოლექტივი, რომელიც გამარჯვებულს 2,5 ქულით ჩამორჩა. III ადგილი წილად ხვდათ აჭარის წარმომადგენლებს.

თბილისის გუნდიდან ჩემპიონობა მოიპოვეს გ. ბალამაშვილმა, რ. ხუდოევმა, კ. მანუკიანმა, ს. აბრაამიანმა და ე. კირაკოსიანმა; ქუთაისელთაგან — პ. ასლანოვმა, ბ. თევზაძემ, პ. ყანჩელმა, თ. სუთიძემ, თ. კიკვიძემ და ე. ხაჩატურიანმა.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებას თავი აარიდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გუნდებმა.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

## V ადგილზე გადაინაცვლეს

კრასნოდარი, 16 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელმა ვაჟებმა სსრ კავშირის ჩემპიონატის IV-VII ტურების მატჩები ასე დაამთავრეს: მოუგეს ცსკა-ს — 19:15 (8:8), წააგეს ზმეტ-სთან — 20:25 (8:17) და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან — 20:32 (11:17), ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან"—17:17 (11:9).

დასრულდა მესამე წრის მატჩები. თბილისელები მეორე წრის შემდეგ IV ადგილზე იყვნენ, ახლა კი მეხუთეზე გადაინაცვლეს. ბოლო, მეოთხე წრის მატჩები ოქტომბერში გაიმართება.

IV-VII ტურების დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სტრაუმე" (რიგა) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი 25:19 (12:10), „კუნცევო" (მოსკოვი) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 8:15 (3:10), „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) — ზმეტ-ი 20:17 (9:7), „ალუმინსტროი" — „სტრაუმე" 16:15 (8:7), ცსკა — „კუნცევო" 24:34 (12:17), საავიაციო ინსტიტუტი — „უნივერსიტეტი" 30:22 (14:8), „სტრაუმე" — ცსკა 25:21 (13:9) „კუნცევო" — ზმეტ-ი 13:16 (9:9), „უნივერსიტეტი" — „ალუმინსტროი" 17:17 (12:10), ზმეტ-ი — „სტრაუმე" 27:19 (16:9), ცსკა—„უნივერსიტეტი" 20:24 (11:15), საავიაციო ინსტიტუტი — „კუნცევო" 21:22 (9:14).

# კრისი მეხუთედ!

ზაპოროჟიე, 16 აგვისტო. სსრ კავშირის მოფარიკავეთა ჩემპიონატის ბოლო დღეს ოქროს მედალს ერთმანეთს ეცილებოდნენ დაშნით მებრძოლები. სხვა იარაღებთან შედარებით, აქ ტრადიციულად ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ფინალში ვერ ვიხილეთ აღიარებული ოსტატები ვალეტოვი, პარამონოვი, კოსტავა, სმოლიაკოვი, ვიტებსკი, მოძოლევსკი... ოქროსთვის ბრძოლა უმთავრესად გაიმართა კრისსა (უკრაინა) და რასოლკოს (ბელორუსია) შორის. ფინალის ბოლო ეტაპზე ამ სპორტსმენებს მოგებათა ერთნაირი ჯამი ჰქონდათ და დავა დამატებითმა „დუელმა" გადაწყვიტა. კრისმა ეს შეხვედრა დიდი ოსტატობით ჩაატარა და შედარებით იოლად სძლია თავის ახალგაზრდა კოლეგას. ამრიგად, გ. კრისმა მეხუთედ დაისაკუთრა სსრ კავშირის ოქროს მედალი. ასეთი სტაბილური შედეგი დაშნით მოფარიკავეთა შორის ჯერ არავის ჰქონია.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა მესამე წრის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკ.) | 21 | 15 | 3 | 3 | 460—407 | 33 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 21 | 13 | 3 | 5 | 381—359 | 29 |
| „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) | 21 | 13 | 2 | 6 | 419—400 | 28 |
| ზმეტ-ი (ზაპოროჟიე) | 21 | 9 | 2 | 10 | 357—349 | 20 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 21 | 7 | 5 | 9 | 385—396 | 19 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 21 | 6 | 3 | 12 | 331—346 | 15 |
| „სტრაუმე" (რიგა) | 21 | 5 | 2 | 14 | 365—420 | 12 |
| ცსკა | 21 | 4 | 4 | 13 | 375—425 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურიატეთის სპორტული დღესასწაული





რეპორტაჟი

„ვისაც სურხარბანი არ უნახავს, მას ჩვენი მხარეც არ უნახავს“, — ასე ამბობენ ბურიატეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ეს სპორტული დღესასწაული წარმოუდგენლად პოპულარულია: ყველაზე შორეულ ულუსებშიც კი მუდამ იმართება მოჭიდავეთა შეჯიბრებები, ასპარეზობანი მშვილდოსნობაში და საცხენოსნო დოღები, რომლებიც სურხარბანის პროგრამაში შედის.

...ბურიატეთის დედაქალაქის ულან-უდეს ცენტრალური სტადიონი ხალხითაა სავსე. საპატიო ადგილებზე სხედან და გრძელ ჩიბუხებს ეწევიან მოხუცები. ახლა აქ დაიწყება ყველაზე დიდი დღესასწაული — რესპუბლიკური სურხარბანი. იგი მიდიოდა ულუსიდან ულუსამდე, აიმაკიდან აიმაკამდე და ბოლოს დედაქალაქშიც ჩამოვიდა.

გაისმის ფანფარების ხმა. ადათის მიხედვით, დღესასწაულს მოხუცები ხსნიან — ტრადიციულ რიტუალს ასრულებენ: წრეში დგებიან და საბრძოლო დგომს იკავებენ, თითქოს ახალგაზრდებს უჩვენებენ, აი, ასე გაბედულადაა საჭირო ბრძოლის დაწყებაო. შემდეგ მწვანე ხალიჩაზე მოჭიდავეთა წყვილი გამოდის. ერთ-ერთი ათლეტი ნახევარწრის შუაში ჯდება, მეორე ნელა უახლოვდება მას. ხანმოკლე დაზვერვის შემდეგ იწყება ტემპერამენტული, ეფექტური ორთაბრძოლა... მაყურებლები ბობოქრად გამოხატავენ თავიანთ განცდებს.

უძლიერესები ასპარეზობენ „ბუხებარილდოონში“ — ბურიატულ ჭიდაობაში, რომელშიც არ არის ფრე და ამიტომ მოჭიდავეებისგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვს. უძლიერესი ბატორის (გოლიათის) ტიტულისთვის ჭიდილში მონაწილეობენ სპორტსმენები, რომელთაც ბურიატეთის ფარგლებს გარეთაც იცნობენ. ესენი არიან ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჩემპიონები — სპორტის ოსტატები ვ. ბაიმეევი, ვ. ივანოვი, მ. ადამოვი.

„სურხარბან-70-ის“ პირველი ჩემპიონი გახდა ვ. ბაიმეევი. სამ წუთზე ნაკლები დასჭირდა მას, რათა ფინალურ ბრძოლაში მეტოქე მიწაზე დაენარცხებინა. გამარჯვებულის პატივსაცემად ტრადიციისამებრ ამბობენ ლექსებს, მღერიან სიმღერებს.

საჭიდაო ხალიჩის გვერდით საწონებს ათამაშებენ ძალოსნები. ორფუთიანი საწონი უჭირავს საბჭოთა მეურნეობა „შერგინსკის“ მძღოლს გ. ვტორუშინს. ეს საწონი მან ოცდათოთხჯერ აჭიმა, შემდეგ ორი ასეთი საწონი აიღო და თვრამეტჯერ აჭიმა. თავად ვტორუშინი 69 კილოგრამს იწონის. მას მეორე წელია ზედიზედ სურხარბანის ჩემპიონად აღიარებენ შეჯიბრების ამ სახეობაში.

— სურხარბანის დღესასწაულს დიდი ტრადიციები აქვს, — მოგვითხრობს სპორტის ეროვნული სახეობების რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ბ. სანდანოვი, — თავიდან მისი პროგრამა სამი სახეობით იყო შემოფარგლული: მშვილდოსნობით, ეროვნული ჭიდაობით, საცხენოსნო დოღებით. ამჟამად სურხარბანში ასპარეზობენ ძალოსნები, ფრენბურთელები და ფეხბურთელები. წლევანდელ ასპარეზობაში მონაწილეობს 18 სპორტის ოსტატი, რომელთა შორის უმრავლესობა მშვილდოსნობაში გამოდის.

ცეცხლის ხაზზეა სოფლის მასწავლებელი დაშინიმა ერდინეევი, სპორტის ოსტატი, რსფსრ-ს ჩემპიონი, სურხარბანების არაერთგზის ჩემპიონი. მისი ნატყორცნი ისრები ამჯერადაც ყველაზე ზუსტად აღწევენ მიზანს.

გავიდა რამდენიმე წუთი და სტადიონი ტრადიციული სიმღერით ესალმება ბურიატეთის საუკეთესო მშვილდოსან ქალს. ეს გალინა ერდინეევაა — დაშინიმას მეუღლე და მოწაფე. 1962 წელს ერდინეევამ პირველად დაიკავა ხელში მშვილდი, ხოლო შვიდი წლის შემდეგ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. „სურხარბან-70-ში“ მან დამაჯერებლად დაიცვა თავისი ოჯახის სპორტული ღირსება.

მშვილდოსნობა ბურიატეთში სპორტის მასობრივი სახეობაა. ადგილობრივ მონადირეთა შორის ახლაც მოიძებნება ისეთი, რომელსაც ტაიგაში სიარული თოფით [illegible] მშვილდით ურჩევნია. ხშირად მიზანში გაშვებული ისარი გოლიათი ცხენ-ირმის რბენას აჩერებს. ხოლო თუ მარტო სპორტულ სროლაზე ვილაპარაკებთ, რესპუბლიკაში მას რამდენიმე ათასი კაცი მისდევს. მალე ულან-უდეში გაიხსნება სპეციალიზებული ბავშვთა სპორტული სკოლა, სადაც ბიჭები და გოგონები მშვილდოსნობის საიდუმლოებებს დაეუფლებიან.

საცხენოსნო დოღები. „უცხენო ბურიატი უფრთო ფრინველია“, — ამბობს ანდაზა. რამდენიმე თვით ადრე იწყება საუკეთესო ცხენების შერჩევა. ამ ცხენებმა უნდა დაიცვან კოლმეურნეობათა ღირსება. მათგან საუკეთესონი რესპუბლიკურ სურხარბანში გამოვლენ. ფინალური დოღი ბურიატეთის ერთ-ერთ წარმტაც ადგილას, ვერხნიაია ბერეზოვკის იპოდრომზე იმართება.

...სტარტამდე რამდენიმე წუთი რჩება. რესპუბლიკის უხუცესი მხედარი, 70 წლის დ. რადნაევი უკანასკნელ რჩევა-დარიგებას აძლევს დოღის ყველაზე ნორჩ მონაწილეს, 15 წლის ლ. ხალზანოვს. ჭაბუკის ლამაზი ცხენი ხანტარი მოუთმენლად როკავს — დოღის დაწყებას ელის...

ზარის ხმა ადგილიდან იტაცებს სწრაფ ცხენებს. ნაცრისფერი, წითური, შავი ცხენები ეფინებიან იპოდრომის მწვანე ხალიჩას. 1600-მეტრიანი დისტანციის ფინიშთან პირველია მირზაზე ამხედრებული კოლმეურნე ჯიგიტი დ. ბაშკუევი. მეორე ჩემპიონი (3200-მეტრიან დისტანციაზე) ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მხედარი ნ. იუმოვი გახდა. მისმა ბურანმა ორი კორპუსით გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს.

საღამოს სიგრილე მოაქვს... მინდორში არ ცხრება ცხენების ჭიხვინი: იწყება მასობრივი დოღი.

— ყოველ ბურიატში ჯიგიტი ცოცხლობს, — ღიმება დ. რადნაევს. — ხედავთ, ყველას სურს უნაგირზე ჯდომა.

აინთო ათობით კოცონი. ცხენების ფლოქვებისგან ველი გმინავს. შორანთა ჩქარ რბენას სურხარბანის გამოსათხოვარი სიმღერა აჰყვა...

ლ. მონჩინსკი.

• • •

სურათებზე: 1600-მეტრიან დისტანციაზე ცხენოსანთა შეჯიბრების მომენტი; სპორტის ოსტატი დ. ერდინეევი ასპარეზობის დროს.

ვ. ბელოკოლოდოვის ფოტო.

---




სსრ კავშირის პირველობა

II ჯგუფი „ბ“ კლასი

II ზონა

# ფრე ლიდერთან

გორი. ქალაქის სტადიონი. 15 აგვისტო.

„დილა“ (გორი) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 0:0.

„დილა“: ჩლაიძე, კოზინი, კობიაშვილი, გლავადსკი, ნასარიძე, ეზუხბაია, ჭეიშვილი (გულდიაშვილი), პაპიაშვილი (მარღიშვილი), კაპანაძე, ბურჯანაძე, მაღრაძე.

„ავტომობილისტი“: პოლეევი, ტკაჩენკო, სენაშოპოვი, ასიბოკოვი, მატრაევი, ვერბოვსკი, ტატარინი, კორნეევი (ივანოვი), შაპოვალოვი, დერემოვი, მირზოევი (ტლიარუგოვი).

მსაჯი ა. ფომენკოვი (ბელაია კალიტვა).

სულ ცოტა ხნის წინ გორის „დილას“ ჩვენ გათამაშების ცხრილის ზემო ნაწილში, ლიდერთა ჯგუფის უშუალო სიახლოვეს ვხედავდით. გუნდი თამაშობდა სტაბილურად, ძლიერად, მაგრამ აი, დაიწყო გასვლითი შეხვედრები და „დილამ“ ზედიზედ წააგო 5 მატჩი. 10 ქულა „ხელის ერთი მოსმით“ იქნა დაკარგული.

რა თქმა უნდა, წაგებათა ასეთი სერია შემთხვევით არ ხდება. ამის თაობაზე ჩვენ ვესაუბრეთ გუნდის უფროს მწვრთნელს ბ. ნორაკიძეს. მან განაცხადა, რომ ავადმყოფობის გამო ამ მატჩებში კოლექტივს აკლდნენ მცველი გლავადსკი, თავდამსხმელები ბურჯანაძე და პაპიაშვილი, ხოლო ნახევარმცველი ჩიტაური ქუთაისის „ტორპედოში“ წაიყვანეს. ყველა ხაზში მოწინავე მოთამაშეთა დანაკლისი, რასაკვირველია, უკვალოდ არ ჩაივლიდა, მაგრამ თავის გამართლება ამ მიზეზით არც საქმეს შველის და არც რაიმე სარგებლობას მოგვიტანს. „დილამ“ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ გამოასწოროს მდგომარეობა და აინაზღაუროს დანაკლისი.

მწვრთნელის სიტყვების დასადასტურებლად შეგვიძლია დავეყრდნოთ განვლილ მატჩს ტურნირის ერთპიროვნულ ლიდერთან — ნალჩიკის ძლიერ გუნდთან. გორელებმა პირველივე წუთებიდან მიაღწიეს უპირატესობას. მათ ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ, როცა მაღრაძე სწრაფად გავიდა რამდენიმე მცველს შორის, ზუსტად გადასცა ბურჯანაძეს და ამ უკანასკნელმა კარში გაგზავნა იგი. სტუმრების მცველებმა ზედ კარის ხაზიდან შეძლეს ბურთის მოგერიება.

„ავტომობილისტი“ თავისი სიძლიერით საგრძნობლად აღემატება იმ გუნდებს, რომლებსაც აქამდე უთამაშიათ გორში. კოლექტივი ძალიან ბრძოლისუნარიანია და რამდენიმე კარგი მოთამაშე ჰყავს. ისინი ხშირად ქმნიდნენ კონტრთამაშს და მატჩი მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. საბოლოოდ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა.

გ. გოზალიშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# მხოლოდ 1:0

რუსთავი, 16 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ ადგილობრივ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის გუნდების კალენდარული შეხვედრა რუსთავისა და კრასნი სულინის „მეტალურგის“ თანაკლუბელთა შორის.

მასპინძლებს ძალიან ესაჭიროებოდათ 2 ქულა და გამარჯვებაც მოპოვებულ იქნა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ რუსთაველი ფეხბურთელები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. თამაში უმეტესად მიმდინარეობდა სტუმართა კარიდან მოშორებით და მათი გაძლიერებული დაცვის დაძლევა მასპინძლებმა ვერ შეძლეს.

„ბ“ კლასი

II ზონის I ქვეჯგუფი

თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მცველმა ლობანოვმა გაგზავნა კრასნი სულინის „მეტალურგის“ კარში 58-ე წუთზე.

---




△ ნიურბურგრინგი. ცნობილი ფინელი ავტომრბოლელი ჰ. ლაინე აქ გამართული შეჯიბრების დროს დაიღუპა. მისი „პორშ-917“ მარკის მანქანა ისე დაიწვა, რომ ნომრის გარჩევაც შეუძლებელი იყო. ვიდრე ყველა ავტომრბოლელი არ შეგროვდა, ვერ დაადგინეს ვინ იყო უბედური შემთხვევის მსხვერპლი.

△ ვენეცია. ამას წინათ აქ უჩვეულო „მოგზაურს“ დახვდნენ ტრიესტიდან: 37 წლის იტალიელმა ფ. ბერგამინიმ ამ ორ ქალაქს შორის მანძილი (120 კმ) 33 საათსა და 27 წუთში დაფარა... ცურვით.

# გამარჯვებაც, რეკორდიც...

ლენინგრადი, 16 აგვისტო. სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აქ გამართული ტრადიციული მატჩი მრავალჭიდში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა: ხუთჭიდელებმა იმარჯვეს ანგარიშით 23975:23596, ხოლო ათჭიდელებმა — 68285:67566.

შეჯიბრება დაამშვენა ქალიშვილთა შორის ახალმა საკავშირო რეკორდმა, რომლის ავტორად ლენინგრადელი სტუდენტი, 19 წლის ტ. კონდრაშოვა მოგვევლინა. თავის ძველ მიღწევას მან ერთბაშად 98 ქულა დაუმატა, 5027 ქულა დააგროვა და II ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, იგი მეორე საბჭოთა მძლეოსანია, რომელმაც 5-ათასიანი ზღვარი გადალახა. ამ სახეობაში პირველი იყო საბჭოთა ქვეყნის რეკორდსმენი ვ. ტიხომიროვა (ორიოლი) — 5092.

უაღრესად მწვავე ბრძოლა გაიმართა ვაჟთა შორის. 22 წლის ოდესელ დინამოელს ნ. ავილოვს სახელგანთქმულ მეტოქეებთან მეტისმეტად მძაფრი ბრძოლის გადატანა მოუხდა. გამარჯვების წყურვილს ისიც აძლიერებდა, რომ სარბიელზე არ გამოვიდა საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი ვ. შჩერბატიხი. მაგრამ 7874 ქულამ ავილოვს II ადგილი მოუტანა. ყველას აჯობა კიოლნელმა სტუდენტმა, ევროპის რეკორდსმენმა კ. ბენდლინმა — 7932.

---

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

---

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონის დირექცია აცხადებს, რომ სტადიონზე საშუალო და უფროსი ასაკის მამაკაცთათვის გახსნილია **გამაჯანსაღებელი ჯგუფები — „რბენა მხოლოდ ჯანმრთელობისთვის“.**

მეცადინეობა ტარდება გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით და საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მუშაკთა მეთვალყურეობით, კვირაში სამჯერ დილისა და საღამოს საათებში.

მსურველებს პირობების გაგება შეუძლიათ სტადიონის სასწავლო-სპორტულ განყოფილებაში ყოველდღე (გარდა კვირისა) 9-დან 12 საათამდე. ჭავჭავაძის პრ. № 74. ტელეფონი 22-11-89.

დირექცია.

---

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი

იოსებ გიორგის ძე ქარუმიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04378